

## სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ცოტნე ბეჟაშვილის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მე, როგორც ქ. სიღნაღის მაჟორიტარი დეპუტატი, ვაგრძელებ მუშაობას ჩვენი ქალაქისა და თქვენი პრობლემების აღმოსაფხვრელად. ყოველდღიურ რეჟიმში ვხვდები ამომრჩეველს, ვფლობ ინფორმაციას თითქმის ყველა საჭირობოროტო საკითხის შესახებ და ვცდილობ საკუთარი ძალებითა თუ საკრებულოსა და მერიის ჩართულობით შეძლებისდაგვარად მოვაგვარო.

აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს, ფრაქციისა და კომისიების სხდომებში. წლის საანგარიშო პერიოდში დავესწარი:

- საკრებულოს - 11 სხდომას,
- ფრაქციის „ქართული ოცნება“ - 11 სხდომას,
- იურიდიული კომისიის - 8 სხდომას,
- ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის - 3 სხდომას.

ქალაქ სიღნაღში განხორციელებული პროექტებიდან აღსანიშნავია ფეხბურთის მინი-სტადიონის მოწყობა, რომელსაც წლების განმავლობაში ითხოვდა ამომრჩეველი;

წმ. გიორგის ქუჩაზე სრულად მოეწყო და მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა, ასევე მოხდა ბარათაშვილის, სარაჯიშვილისა და 9 აპრილის ქუჩების რეაბილიტაცია, მოწესრიგდა ფასადები, აღდგა წმინდა ნინოს მონასტერთან მისასვლელ გზაზე მეწყერით დაზიანებული კედლის ჩამოშლილი მონაკვეთი;

მგფ-ის დაფინანსებით კი მოხდა ჭავჭავაძის ქუჩის სრული რეაბილიტაცია;

სიღნაღის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ გაწეული სამუშაოებიდან აღსანიშნავია ციხის გალავნის კედლის, სარაჯიშვილის, გომიაშვილის, მოსულიშვილისა და კვერნაძის ქუჩების გზის ეკალ-ბარდებისაგან გაწმენდითი სამუშაოები, ჩატარდა ზაფხულის განმავლობაში მოსული უხვი ნალექისაგან მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელი მასშტაბური სამუშაოები.

მშობლებისა და ბაღის ადმინისტრაციის მოთხოვნით საბავშვო ბაღის ეზოში მოვახდინეთ დაზიანებული რკინის საქანელების დემონტაჟი, სამომავლოდ დაგეგმილია შენობის სრული რეაბილიტაცია.

ამჟამად მიმდინარებს მოლაპარაკება „არქიმედეს“ ხელმძღვანელობასთან, რათა ქ. სიღნაღში მდებარე კლინიკას დაემატოს გარკვეული სახის სერვისები.

გრძელდება სიღნაღი-ქვ.მაჩხაანის (სიღნაღი-ქედელი-ბოდბისხევი) დამაკავშირებელი ტურისტული საავტომობილო გზისა და ფიროსმანის ქუჩის რეაბილიტაცია

როგორც მოგეხსენებათ, დღემდე აქტუალურ პრობლემად რჩება სიღნაღის გალავანის აღდგენა და ველოდებით შესაბამისი სამინისტროდან სრულ რეაბილიტაციას.

ასევე პრობლემად რჩება მიუსაფარი ძაღლები და ევდოშვილის ქუჩის რეაბილიტაცია.

ამჟამად მიმდინარეობს ს. მირიანაშვილის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია ასევე დაგეგმილია ვ. სარაჯიშვილის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია.

საანგარიშო პერიოდში სოციალური დახმარება გაეწია 155 მოქალაქეს

მათ შორის:

\* სამედიცინო დახმარება - 30 ბენეფიციარი;

\* შშმ პირთა სოციალური დაცვა - 40 ბენეფიციარი;

\* განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა ერთჯერადი სოციალური დახმარება - 69 ბენეფიციარი;

\* ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სოციალური დაცვა - 11 ბენეფიციარი;

\* მარტოხელა და მარჩენალდკარგული მშობლის სოციალური დაცვა - 1 ბენეფიციარი;

\*სოციალურად დაუცველი სტუდენტების, ობოლი და მრავალშვილიანი ოჯახის სტუდენტების დახმარება - 1 ბენეფიციარი;

როგორც მაჟორიტარი, შევეცდები გავამართლო ის ნდობა, რომელიც თქვენ გამომიცხადეთ უკვე მეორედ. უფლებამოსილების პერიოდში ჩემი ჩართულობითა და ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ პრობლემების დაძლევისა და ჩვენი ქალაქის უკეთესი მომავლისათვის ზრუნვას.